პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-11 წელი

№ 92 (794) | ოთხშაბათი, 17 ნოემბერი, 1954 წ. | ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშთ ახალი კომპლექსი

ჩვენს ქვეყანაში მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განუხრელ აღმავლობასთან ერთად მშრომელთა ფართო მასებში სულ უფრო ფართოდ ინერგება ფიზკულტურა და სპორტი. საბჭოთა ახალგაზრდობამ შეისისხლხორცა და შეიყვარა ეს უაღრესად საჭირო საქმე, იგი თავისი ძირითადი საქმიანობის განუყოფელ ნაწილად გაიხადა. ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდად ზრუნავენ მშრომელთა ფიზიკური გამოწრთობისათვის. შენდება ახალი სტადიონები, საცურაო აუზები, დარბაზები, ყოველწლიურად დიდძალი თანხა იხარჯება ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის.

ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობის ფიზიკურად გაკაჟების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის", რომელიც კომკავშირის ინიციატივითაა შემოღებული. მშთ კომპლექსმა დიდად შეუწყო ხელი ჩვენს ქვეყანაში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის ფართოდ გაშლის საქმეს.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურასა და სპორტში მიღწეულ წარმატებებს, ახალგაზრდობის გაზრდილ ფიზიკურ მომზადებას ველარ აკმაყოფილებს მშთ არსებული კომპლექსი. ზოგიერთი ნორმატივი არ შეესაბამება საერთო საკავშირო კლასიფიკაციის მოთხოვნებს, ამიტომ საჭირო გახდა მათი გადასინჯვა.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა შეიმუშავა მშთ ახალი კომპლექსი, რომელიც ძალაში შევა 1955 წლის 1 იანვრიდან.

შენარჩუნებულ იქნა რა აქამდე არსებული კომპლექსის იდეური მიზნები და ძირითადი დებულება, ახალ კომპლექსში თეორიულ ნორმებთან ერთად შედის ფიზიკური მომზადების აუცილებელი ნორმები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მშრომელთა ყოველმხრივ ფიზიკურ გაკაჟებას.

დაწესებულია ნორმების ჩამბარებელთა ასაკობრივი კატეგორიები. ახალი კომპლექსის მიხედვით იმშთ ნორმების ჩაბარება უნდა დასრულდეს შვიდწლიანი სკოლების დამთავრებისას, მშთ პირველი საფეხურისა — საშუალო სკოლებისა და სხვა სპეციალური სასწავლებლების დამთავრებისას, ხოლო მშთ მეორე საფეხურისა — უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდის კურსის დამთავრებისას.

ახალი კომპლექსით გათვალისწინებულია ნორმების ჩაბარება უფროსი ასაკის მშრომელებისათვის, რაც ხელს შეუწყობს მათ ჩაბმას ფიზკულტურულ მეცადინეობაში. ფიზიკური მომზადების შენარჩუნების მიზნით შემოღებულია მშთ პირველ და მეორე საფეხურზე ნორმების განმეორებითი ჩაბარება ყოველ 3 წელში ერთხელ. ახალი კომპლექსის სავალდებულო მოთხოვნებში გათვალისწინებულია სპორტის სახეობათა ყველა ნორმის ჩაბარება მხოლოდ სპორტულ შეჯიბრებაზე.

მშთ ახალი კომპლექსის შემოღება ახალ სერიოზულ ამოცანებს უყენებს ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს. პირველ ყოვლისა საჭიროა მოვაწყოთ მშრომელთა ფართო მასებისათვის კომპლექსის ფართო გაცნობა. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ პრესა, რადიო, გავმართოთ ლექციები, საუბრები, სპორტული დღესასწაულები, სააგიტაციო ველო-მოტო გადარბენები და სხვ. ფიზკულტურული ორგანიზაციები საჭიროა აქედანვე შეუდგნენ ახალი კომპლექსის მიხედვით მუშაობისათვის მზადებას. ამ საქმეში ფართოდ უნდა ჩავაბათ ფიზკულტურული აქტივი, დავსახოთ კონკრეტული ღონისძიებანი ახალ კომპლექსზე გადასვლასთან დაკავშირებით.

წარმატებას იმ შემთხვევაში მივაღწევთ, თუ ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მასწავლებლები, მწვრთნელები და მსაჯები სპორტის სახეობათა მიხედვით კარგად შეისწავლიან მშთ ახალი კომპლექსის მოთხოვნებს. ამისათვის კი საჭიროა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა აქედანვე იზრუნონ სემინარების მოწყობისათვის, მასწავლებელთა და მწვრთნელთა მომზადება-გადამზადებისათვის. მუშაობის უკეთ წარმართვისათვის, ახალ კომპლექსში მეცადინეობასა და ჩაბარებაში ახალგაზრდობის ფართო ფენების ჩაბმისათვის, აუცილებელია ყოველ სკოლასთან, საწარმოსთან, კოლმეურნეობასთან, უმაღლეს სასწავლებელთან მოვაწყოთ კომპლექსური სპორტული ნაგებობანი.

რამდენადაც მშთ კომპლექსის ნორმების ჩაბარება მოეწყობა მხოლოდ სპორტულ შეჯიბრებაზე, ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მომავალი წლის სპორტულ კალენდარში უნდა შეიტანონ რაც შეიძლება მეტი ღონისძიება მშთ კომპლექსის ცალკეულ სახეობებში, აგრეთვე მშთ მრავალჭიდში.

ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებმა, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა საბჭოებმა ყოველდღიური დახმარება და კონტროლი უნდა გაუწიონ ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს მშთ ახალი კომპლექსის მიხედვით შეჯიბრებათა ორგანიზაციასა და ჩატარებაში. ასეთი მუშაობით კიდევ უფრო მასობრივი გახდება ფიზკულტურა და სპორტი, უფრო მეტ წარმატებებს მოვიპოვებთ რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზობებში.

☆

ბრძანებულება
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების ჩატარების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნები კვირას, 1954 წლის 19 დეკემბერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი. 1954 წ. 13 ნოემბერი.


მოსკოვ-ჩეხოსლოვაკიის მძლეოსანთა შეჯიბრებაში ვ. კუცმა 5000 მეტრზე რბენაში დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი. მისი შედეგია 13:51,2. ბირთვის კვრაში გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკელმა სკობლამ.
სურათზე: ვ. კუცი დისტანციაზე (მარცხნივ), სკობლა ჰკრავს ბირთვს.

XVI ჩემპიონატი

ქ. კრასნოდარის მშენებელთა კლუბში გაიხსნა საბჭოთა კავშირის XVI ქალთა პირველობა ჭადრაკში.

შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო სახელისათვის იბრძვის 20 უძლიერესი მოჭადრაკე: მსოფლიო ჩემპიონი ე. ბიკოვა, საბჭოთა კავშირის 1953 წლის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი კ. ზვორიკინა, მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ლ. რუდენკო, სპორტის დამსახურებული ოსტატი ო. რუბცოვა, საერთაშორისო ოსტატი ო. იგნატიევა, სპორტის ოსტატი ნ. ვოიცეკი, ლ. ვოლპერტი, ი. გურფინკელი, ე. ბიგლოვა და სხვ. მონაწილეთა შორისაა აგრეთვე საქართველოს ორგზის ჩემპიონი ე. კაკაბაძე.

საბჭოთა სპორტსმენები ალბანეთში

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად საბჭოთა კავშირიდან ალბანეთში გაემგზავრა ლენინგრადის „შრომითი რეზერვების" ფეხბურთელთა გუნდი. დელეგაციას ხელმძღვანელობს ბ. კონონოვი.

საჩვენებელი გამოსვლებისათვის ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში გაემგზავრა აგრეთვე საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა ჯგუფი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ვ. ლავრუშჩენკო (ხელმძღვანელი), მ. ჯუღელი, დანილოვა, სობოლევი, ხარიტონოვი და სხვები.

დ. ბრონშტეინი—პირველ ადგილზე

მსოფლიო XI საჭადრაკო ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ ჭადრაკის მოყვარულთა ყურადღება მიიპყრო იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადში გამართულმა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირმა. შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის იუგოსლავებმა მიიწვიეს საბჭოთა კავშირის, უნგრეთის, იტალიის, ინგლისის, არგენტინის, დასავლეთ გერმანიისა და სხვა ქვეყნების მოჭადრაკეები.


დ. ბრონშტეინი

✪

იუგოსლავიის საზოგადოებრიობა ტურნირისადმი დიდ ინტერესს იჩენდა. ეს გასაგებიცაა. ჭადრაკი ამ ქვეყანაში ფართოდაა გავრცელებული და აქვს კარგი ტრადიციები. ჭადრაკის მესვეურებს დღემდე ახსოვთ კურორტ ბლედში 1931 წლის საერთაშორისო ტურნირში გენიალური რუსი გროსმაისტერის ა. ალიოხინის ბრწყინვალე გამარჯვება. ახლაც, როცა პრესამ აცნობა საბჭოთა გროსმაისტერების ბრონშტეინისა და პეტროსიანის მონაწილეობის ამბავი, ბელგრადის კულტურის სასახლეს, სადაც მიმდინარეობდა ტურნირი, დიდძალი მაყურებელი ესწრებოდა.

პირველი ტურიდანვე შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგნენ ბრონშტეინი და პეტროსიანი. მერვე ტურამდე ისინი ერთად ლიდერობდნენ, მაგრამ მერვე ტურში პეტროსიანი დაწინაურდა. ეს მოხდა მხოლოდ ერთი დღით. მეცხრე ტურში იგი მოულოდნელად დამარცხდა იუგოსლაველ ივკოვთან პარტიაში და ჩამორჩა. ახლა ბრონშტეინი წავიდა წინ, მაგრამ მეთორმეტე ტურში მას ახალგაზრდა იუგოსლაველი ოსტატი მატანოვიჩი წამოეწია. ბრძოლა ლიდერობისათვის შეჯიბრების დამთავრებამდე დიდი დაძაბულობით მიმდინარეობდა. ბრონშტეინი ენერგიულად იბრძოდა ყოველ პარტიაში და მალე მატანოვიჩიც ჩამოიტოვა. კარგი თამაშით ბრონშტეინმა შეჯიბრებაში 13,5 ქულით მოიპოვა პირველი ადგილი. ბრონშტეინის ახალი გამარჯვება კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ ის ნამდვილად არის მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გროსმაისტერი. ბრონშტეინს ტურნირში არც ერთი პარტია არ წაუგია. — 8 მოიგო, 11 ყაიმით დაამთავრა.

საბჭოთა გროსმაისტერს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა მატანოვიჩი, რომელმაც ერთ პარტიაში განიცადა დამარცხება.

მესამე ადგილზე გამოვიდა ტრიფუნოვიჩი (იუგოსლავია) — 12 ქულა.

მეოთხე და მეხუთე ადგილი გაიყვეს გროსმაისტერმა პეტროსიანმა და ოსტატმა ივკოვმა (იუგოსლავია) — 11,5-11,5 ქულა. პეტროსიანმა მკრთალად ჩაატარა შეჯიბრების მეორე ნახევარი. მან უკანასკნელი 11 შეხვედრა 5 ქულით დაამთავრა, იმ დროს, როცა პირველ რვა ტურში 6,5 ქულა მოაგროვა.

ჭაბუკთა ახალი რეკორდები

ოდესის ნორჩ მძლეოსანთა ამას წინათ ჩატარებული საქალაქო პირველობა აღინიშნა სამი საკავშირო და ერთი რესპუბლიკური რეკორდით.

ქალაქის სპორტული სკოლის აღსაზრდელებმა ო. აქსენოვმა, ვ. სუხოპიატკინმა, ვ. დიმოვსკიმ და ა. ზაბლუდოვსკიმ ამანათრბენში 400+300+ +200+100 3,5 წამით გააუმჯობესეს ძველი საკავშირო რეკორდი უმცროსი ასაკის ჭაბუკთათვის. (ძველი რეკორდი უდრიდა 2:09,2). 15 წლის ვ. დიმოვსკიმ და 17 წლის ი. ნერმა 60 მეტრზე რბენაში დაამყარეს 2 საკავშირო რეკორდი თავიანთი ასაკის მოზარდთათვის. მათ აჩვენეს შესაბამისი დრო 6,8 და 6,7. ქ. მალაიამ ბირთვი ჰკრა 11 მ და 95 სმ-ზე. ეს შედეგი უმცროსი ასაკის გოგონათა უკრაინის ახალი რესპუბლიკური რეკორდია.

დემოკრატიულ ქვეყნებში

◆

ჩეხოსლოვაკია

პრეროვში ჩატარდა მოჭადრაკე ქალთა 1954 წლის პირველობა, რომელშიც 12 სპორტსმენი მონაწილეობდა. ჩემპიონობის ბედი გადაწყდა მხოლოდ ბოლო შეხვედრაში. რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება მოიპოვა პრაღელმა სუხამ, რომელმაც 9,5 ქულა მოაგროვა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა ერეტოვა, რომელმაც მთელი შეხვედრა წაუგებლად ჩაატარა.

• • •

ჩეხოსლოვაკელმა მოცურავემ ფ. ველჩკომ ბრატისლავიდან კამენრომდე მდინარე დუნაის გაყოლებით გასცურა 100 კილომეტრი. ფ. ველჩკომ ეს მანძილი დაძლია 13 საათსა, 03 წუთსა და 43 წამში, ე. ი. 30 წუთით მოკლე დროში, ვიდრე გასულ წელს.

• • •

ზაბრეგში ჩატარებულ შეჯიბრებაზე ჩეხოსლოვაკიის რეკორდსმენმა ბადროს ტყორცნაში მერტამ 9 სანტიმეტრით გააუმჯობესა ძველი რეკორდი. მისი შედეგია 52 მეტრი და 10 სანტიმეტრი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

ორი დემოკრატიული რესპუბლიკის — გერმანიისა და ჩეხოსლოვაკიის მსროლელთა საერთაშორისო შეჯიბრება ჩატარდა ლაიპციგში. გერმანელი სპორტსმენებისათვის ეს იყო პირველი საერთაშორისო შეხვედრა.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან სროლაში გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკელმა სპორტსმენებმა — 2471 ქულა, (გერმანელებს ჰქონდათ 2.400 ქულა). პირად პირველობაში გერმანელი კრემპელი 3 ქულით ჩამორჩა ჩეხოსლოვაკელ მატეჩეკს, რომელმაც 523 ქულით გაიმარჯვა. შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში ჩეხოსლოვაკიის ახალი რეკორდით აღინიშნა. ჩოქელა მდგომარეობიდან სროლაში პოლივკამ შეაგროვა 376 ქულა, რაც 7 ქულით აღემატება ძველ რეკორდს. სამივე მდგომარეობიდან სროლაში გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკელმა ხორაკმა (1.100 ქულა), გერმანელმა პროფტმა მოაგროვა 1095 ქულა.

შეხვედრის პარალელურად ჩატარდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველობა სროლაში. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სამივე მდგომარეობით სროლაში რესპუბლიკის გასული წლის ჩემპიონმა კრემპელმა შეინარჩუნა საპატიო წოდება. მან 1200 შესაძლებლიდან 1084 ქულა დააგროვა. სპორტული პისტოლეტიდან სროლაში ჩემპიონი გახდა ტილე (267 ქულა 300 შესაძლებლიდან). თეფშებზე სროლაში გაიმარჯვა ზადევესერმა (20-დან 17).

პოლონეთი

ვარშავაში შედგა რედაქციების „რუდე პრავოს", „ნოიეს დოიჩლანდისა" და „ტრიბუნა ლუდუს", აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც განიხილა მშვიდობის VIII ველორბოლის ჩატარების საკითხი.

თათბირზე დამტკიცდა მშვიდობის ველორბოლის ტრასა (რბოლა დაიწყება 1955 წლის 2 მაისს პრაღიდან და დამთავრდება 17 მაისს ვარშავაში). ველორბოლის ტრასა დაყოფილია 13 ეტაპად, გაივლის ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის ტერიტორიაზე. ტრასის საერთო სიგრძე შეადგენს 2182 კილომეტრს.

◆

ნორჩი მძლეოსნის წარმატება

თბილისის „დინამოს" სტადიონზე დამთავრდა ქალაქის მოზარდ მძლეოსანთა შეჯიბრება.

გამორბენით სიგრძეზე ხტომაში უფროსი ასაკის ჭაბუკთა შორის წარმატებას მიაღწია გ. გვინჩიძემ. მისი შედეგი 6 მ 67 სმ ახალი რესპუბლიკური რეკორდია ამ ასაკის ჭაბუკთათვის.

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის" საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის დებულება და ნორმები

ეროვნული

I. „მზად ვარ სსრკ შრომისა და თავდაცვისათვის" კომპლექსის ამოცანები, აგებულება და შინაარსი

1. საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" (მშთ) შეადგენს ფიზიკური აღზრდის სახელმწიფო სისტემის საფუძველს, რომელიც მიმართულია საბჭოთა მოქალაქეების ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ფიზიკური მონაცემების ყოველმხრივი განვითარებისაკენ მათი მომზადების მიზნით შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის.

2. კომპლექსის ნორმათა მომზადება და ჩაბარება მოწოდებულია ხელი შეუწყოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფართო განვითარებას ქალაქისა და სოფლის მოსახლეობაში, საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობის ამაღლებას, საბჭოთა პატრიოტების აღზრდას ფიზიკურად ძლიერ და ამტან ადამიანებად, რომლებიც მზად არიან დაძლიონ ყოველგვარი სიძნელეები კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

3. კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" აგებულია ფიზიკური მონაცემების ყოველმხრივი, თანმიმდევრული განვითარების პრინციპზე და შედგება 3 საფეხურისაგან:

ა) საფეხური „იყავ მზად შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" ამოცანად ისახავს ბავშვთა ფიზიკური მონაცემების ყოველმხრივ განვითარებას, მათში ფიზიკური კულტურითა და სპორტით მეცადინეობისადმი ინტერესის შთანერგვას;

ბ) „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" კომპლექსის პირველი საფეხური უზრუნველყოფს სსრ კავშირის ახალგაზრდობისა და უფროსი მოსახლეობის ფიზიკური მონაცემების შემდგომ ყოველმხრივ განვითარებას და მათ ჩაბმას სპორტით აქტიურ მეცადინეობაში;

გ) „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" კომპლექსის მეორე საფეხური მიზნად ისახავს უზრუნველყოს სსრ კავშირის მოსახლეობის ფიზიკური მონაცემების ყოველმხრივი განვითარების უფრო მაღალი დონე და საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობის ამაღლება.

4. კომპლექსის ყოველი საფეხური შედგება თეორიული და პრაქტიკული ნორმებისაგან.

თეორიული ნორმები შეიცავენ ძირითად ცნობებს ფიზკულტურისა და სპორტის, პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის, შრომისა და დასვენების დარგში. პრაქტიკული ნორმები დადგენილია რბენაში, ცურვაში, თხილამურით სიარულსა და სხვა ფიზიკურ ვარჯიშებში.

5. „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" კომპლექსის ნორმათა ჩაბარებისათვის დადგენილია შემდეგი ასაკობრივი ჯგუფები:

ა) იმშთ საფეხური — ბიჭები და გოგონები 13-14 წლის ჩათვლით;

ბ) მშთ I საფეხური — 15-17 წლის, 18-30 წლის, 31-40 წლის, 41-45 წლის, 46 წლისა და უფროსი ჭაბუკები და ვაჟები; 15-17 წლის, 18-25 წლის, 26-35 წლის, 36-40 წლის, 41 წლისა და უფროსი გოგონები და ქალები;

გ) მშთ II საფეხური — 17-30 წლის, 31-40 წლის, 41-45 წლის ჭაბუკები და ვაჟები; 17-25 წლის, 18-25 წლის, 26-35 წლის, 36-40 წლის გოგონები და ქალები.

45 წელზე უფროსი ვაჟები და 40 წელზე უფროსი ქალები შეიძლება დაშვებულ იქნენ მშთ II საფეხურის ნორმების ჩასაბარებლად უფროსი ასაკის ჯგუფში ექიმის სპეციალური ნებართვით.

II. „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" კომპლექსზე მომზადების ორგანიზაცია

6. მშთ კომპლექსზე მომზადება ეწყობა:

ა) შვიდწლიან და საშუალო სკოლებში, შრომითი რეზერვების სკოლებსა და სასწავლებლებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში;

ბ) ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა ფიზიკური კულტურის კოლექტივებში;

გ) სპორტულ სკოლებში, პიონერულ ბანაკებში და სხვა საბავშვო დაწესებულებებში;

დ) დასასვენებელ სახლებში, სანატორიუმებში, კურორტებზე, კულტურის პარკებში და მშრომელთა დასვენების სხვა ადგილებზე;

ე) საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილებში, გემებზე, სასწავლებლებსა და დაწესებულებებში;

ვ) არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების (დოსააფი) ორგანიზაციებში.

7. შვიდწლიან და საშუალო სკოლებში, შრომითი რეზერვების სასწავლო დაწესებულებებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში მშთ კომპლექსზე მომზადება შეადგენს ბავშვებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის სასწავლო და კლასგარეშე მუშაობის საფუძველს. მოსწავლეთა მშთ კომპლექსზე მომზადების პასუხისმგებლობა ეკისრებათ სასწავლო დაწესებულებათა დირექტორებს.

8. წარმოებათა, დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა და მტს-ბის ფიზიკური კულტურის კოლექტივებში მშთ კომპლექსზე მომზადებას აწარმოებენ ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები და კომკავშირული ორგანიზაციები.

9. მშთ კომპლექსზე მომზადება ითვალისწინებს:

ა) სწავლებასა და სისტემატურ წვრთნას;

ბ) თეორიული ნორმების ჩაბარებას;

გ) პრაქტიკული ნორმების ჩაბარებას სპორტულ შეჯიბრებებში;

დ) კომპლექსის I და II საფეხურის პრაქტიკული ნორმების მომზადებას და განმეორებით ჩაბარებას ყოველმხრივი ფიზიკური განვითარების მაღალი დონის შენარჩუნების მიზნით.

III. „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" კომპლექსის ნორმათა ჩაბარება

10. მშთ კომპლექსის ნორმათა ჩასაბარებლად დაიშვებიან ის პირნი, რომელთაც მიიღეს თეორიული და პრაქტიკული მომზადება და აქვთ ექიმის ნებართვა.

11. კომპლექსის II საფეხურის ნორმათა ჩასაბარებლად დაიშვებიან მხოლოდ ის პირები, რომელთაც ჩაბარებული აქვთ მშთ I საფეხურის ნორმები.

12. პრაქტიკულ ნორმათა ჩაბარება ეწყობა სპორტულ შეჯიბრებებში.

13. ნორმათა ჩასაბარებლად დაწესებულია შემდეგი ვადები: იმშთ — მთელი ასაკობრივი პერიოდის ფარგლებში; მშთ I საფეხური — 1½ წლის ფარგლებში; მშთ II საფეხური — 2 წლის ფარგლებში. თუ ნორმის ჩამბარებელი გადადის შემდგომ ასაკობრივ ჯგუფში, ჩაუბარებელ სახეობებს იგი აბარებს მისი ფაქტიური ასაკის შესაბამისი ნორმების მიხედვით.

14. ფიზიკური მომზადების მიღწეული დონის შენარჩუნების მიზნით იმ პირთათვის, რომელთაც ჩაბარებული აქვთ მშთ კომპლექსის I და II საფეხურის ნორმები, წესდება კომპლექსის პრაქტიკულ ნორმათა განმეორებითი ჩაბარება ყოველი 3 წლის შემდეგ.

15. მშთ კომპლექსის პრაქტიკულ ნორმათა მომზადებას წინ უნდა უძღოდეს საექიმო გასინჯვა.

IV. „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" კომპლექსის ნიშნებით დაჯილდოება

16. ის პირები, რომლებიც ჩააბარებენ მშთ კომპლექსის ნორმებს, ჯილდოვდებიან შესაბამისი ნიშნებით.

ამ მიზნით დაწესებულია შემდეგი ნიშნები:

ა) „იყავ მზად შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" (იმშთ);

ბ) „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" (მშთ) I საფეხური;

გ) „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" (მშთ) II საფეხური;

კომპლექსის I და II საფეხურის პრაქტიკულ ნორმათა განმეორებით ჩაბარებისათვის ეძლევა სპეციალური ჟეტონი, რომელიც მაგრდება მშთ ნიშანზე.

17. მშთ ნიშნებით დაჯილდოება სკოლებში, შრომითი რეზერვების სასწავლო დაწესებულებებში წარმოებს შესაბამისი სასწავლო დაწესებულებების დირექტორის ბრძანების საფუძველზე; წარმოებათა, დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების ფიზიკური კულტურის კოლექტივებში — შესაბამისი სარაიონო ან საქალაქო ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ბრძანების საფუძველზე.

18. „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" კომპლექსის ნიშნებით დაჯილდოებულნი ვალდებულნი არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობაში, მშთ ნიშნოსნების მომზადებაში, სისტემატურად იმეცადინონ ფიზიკური კულტურითა და სპორტით, აიმაღლონ თავისი სპორტული შედეგები.

V. „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" კომპლექსის ნიშნის ჩამორთმევის შესახებ

19. „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის" კომპლექსის ნიშნით დაჯილდოებულ პირებს, რომლებიც ჩაიდენენ საბჭოთა ფიზკულტურელის წოდებასთან შეუფერებელ საქციელს, შეიძლება ჩამოერთვათ ნიშანი.

საკითხს ნიშნის ჩამორთმევის შესახებ წყვეტს ფიზიკური კულტურის კოლექტივის კრება.

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის" საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ნორმები

იმშთ ნორმების ცხრილი

მომზადების სახეობანი	ნორმები	
	13—14 წლის ბიჭები	13—14 წლი გოგონები
1. ფიზკულტურა და სპორტი სსრ კავშირში		
2. ჰიგიენური ცოდნა და ჩვევები		
3. დილის ჰიგიენური ტანვარჯიში		
4. ცოცვა ბაგირზე ან ლატანზე ფეხების დახმარებით	3 მ	2 მ
5. რბენა 60 მეტრზე	9,6 წამი	10 წამი
ან კროსი 500 მეტრზე	1 წთ 50 წამი	2 წთ 05 წამ
6. სიგრძეზე ხტომა გამორბენით	3 მ 25 სმ	2 მ 80 სმ
ან სიმაღლეზე ხტომა გამორბენით	110 სმ	100 სმ
7. ყუმბარის ტყორცნა (500 გრ)	25 მ	16 მ
8. ცურვა 25 მეტრზე	27 წამი	30 წამი
ან დროის ჩაუთვლელად	50 მ	50 მ
9. თხილამურები: ბიჭები—3 კმ	22 წთ	—
გოგონები—2 კმ	—	18 წთ
უთოვლო რაიონებისათვის ერთ-ერთი ნორმათაგანი		
ა) ორი ერთდღიანი ქვეითი ტურისტული ლაშქრობა	12 და 15 კმ	12 და 15 კ
ან ბ) ორი ერთდღიანი ველოგადარბენა	15 და 20 კმ	15 და 20 კ

10. სპორტული თამაშები:
ბიჭები: ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, ჰოკეი, ჩოგბურთი.
გოგონები: კალათბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი.

მონაწილეობის მიღება არანაკლებ 3 ოფიციალუ შეხვედრაში ერთ-ერთ თამაშში (სკოლის, პიონ[illegible] რაზმეულის, რაიონის, ქალაქის პირველობა, შ[illegible] რები სკოლების გუნდებს შორის და სხვ).

მშთ I საფეხურის ნორმათა ცხრილი

მომზადების სახეობანი	ნორმები									
	ჭაბუკები და ვაჟები					გოგონები და ქალები				
	15—17 წლისა	18—30 წლისა	31—40 წლისა	41—45 წლისა	46 წლისა და უფროსი	15—17 წლისა	18—25 წლისა	26—35 წლისა	36—40 წლისა	41 წლის და უფ როსი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1. ფიზიკური კულტურა და სპორტი სსრ კავშირში										
2. ჰიგიენური ცოდნა და ჩვევები										
3. დილის ჰიგიენური ტანვარჯიში										
4. ცოცვა ბაგირზე ან ლატანზე	4 მ	4 მ	4 მ	4 მ	—	3 მ	3 მ	—	—	—
		ფეხების დაუხმარებლად				ფეხების დახმარებით				
ან ლერძზე მიზიდვა	6 ჯერ	8 ჯერ	7 ჯერ	5 ჯერ	3 ჯერ	—	—	—	—	—
5. რბენა 100 მეტრზე	14,6 წმ	14 წმ	14,8 წმ	—	—	16 წმ	15,6 წმ	16 წმ	—	
6. კროსი 800 მეტრზე	2 წთ 45 წმ	—	—	—	—	3 წთ 15 წc	3 წთ 05 წმ	3 წთ 20 წმ	4 წთ	—
7. კროსი 1.500 მეტრზე	—	5 წთ 30 წმ	5 წთ 45 წმ	6 წთ 30 სმ	—	—	—	—		
8. სიარული და რბენა ადგილმდებარეობაზე:										
ვაჟები 3 კმ	—	—	—	—	18 წთ	—	—	—	—	—
ქალები 1 კმ	—	—	—	—	—	—	—	—	—	6 წ
9. გამორბენით სიგრძეზე ხტომა	3 მ 80 სმ	4 მ 30 სმ	4 მ 25 სმ	3 მ 50 სმ	—	3 მ 30 სმ	3 მ 50 სმ	3 მ 25 სმ	3 მ	—
ან გამორბენით სიმაღლეზე ხტომა	120 სმ	125 სმ	120 სმ	115 სმ	—	110 სმ	110 სმ	105 სმ	100 სმ	—
10. 700 გრამიანი ყუმბარის ტყორცნა (10 მეტრის სიგანის დერეფანში)	30 მ	35 მ	35 მ	35 მ	—	16 მ	18 მ	18 მ	18 მ	
11. ცურვა 100 მეტრზე	2 წთ 20 წმ	2 წთ 20 წმ	2 წთ 25 წმ	2 წთ 35 წმ	—	2 წთ 30 წმ	2 წთ 30 წმ	2 წთ 35 წმ	2 წთ 40 წმ	—
	(ნებისმიერი სტილით)									
ან დროის ჩაუთვლელად	200 მ	200 მ	200 მ	200 მ	100 მ	200 მ	200 მ	200 მ	200 მ	50 მ
12. თხილამურები 3 კმ	—	—	—	—	—	22 წთ	21 წთ	22 წთ	23 წთ	—
ან 5 კმ	—	—	—	—	—	37 წთ	36 წთ	38 წთ	40 წთ	50 წ
თხილამურები 10 კმ	1 ს 10 წთ	1 ს 0,5 წთ	1 ს 15 წთ	1 ს 20 წთ	1 ს 50 წთ	—	—	—	—	—
უთოვლო რაიონებისათვის ერთ-ერთი ნორმათაგანი:										
ა) სწრაფგადასვლა 10 კმ	—	1 ს 10 წთ	1 ს 15 წთ	1 ს 20 წთ	—	—	—	—	—	—
ბ) ორი ერთდღიანი ქვეითი ლაშქრობა	12 და 18 კმ	—	—	—	20 და 25 კმ	12 და 18 კმ	12 და 18 კმ	12 და 18 კმ	12 და 18 კმ	12 18
გ) ორი ერთდღიანი ველოგადარბენა	—	—	—	—	25 და 35 კმ	—	—	—	—	20 30
დ) ველოკროსი: ვაჟები—25 კმ	1 ს 15 წთ	1 ს 08 წთ	1 ს 15 წთ	1 ს 20 წთ	—	—	—	—	—	—
ქალები—15 კმ	—	—	—	—	—	44 წთ	45 წთ	4[illegible] წთ	50 წთ	—
13. სასროლო სპორტი (ვაჟები)	სროლა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 25 ან 50 მეტრზე სამიზნე 25 მეტრზე № 6, 50 მეტრზე № 7. 3 საცდელი, 5 ჩათვლითი ვაზნა. 38 ქულა.					—	—	—	—	—

14. სპორტული თამაშები (მხოლოდ 15—17 წლის ასაკისათვის)
ჭაბუკები: ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ჰოკეი, ხელბურთი, წყალბურთი, ჩოგბურთი.
გოგონები: კალათბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი.

არანაკლებ 4 ოფიციალური შეხვედრა ერთ-ერთ თამაშში.
სავალდებულოა მხოლოდ საშუალო სკოლებისა და საშუალო სპეციალური სასწავლო დაწესებულებებისათვის.

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის" საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ნორმები

მშთ II საფეხურის ნორმათა ცხრილი

მომზადების სახეობანი	ნორმები					
	ვაჟები			ქალები		
	17—30 წლისა	31—40 წლისა	41—45 წლისა	17—25 წლისა	26—35 წლისა	36—40 წლისა
1	2	3	4	5	6	7
1. ფიზიკური კულტურა და სპორტი სსრ კავშირში . . .						
2. ჰიგიენური ცოდნა და ჩვევები						
3. დილის ჰიგიენური ტანვარჯიში						
4. ცოცვა ბაგირზე ან ლატანზე .	4 მ „კუთხის" მდგომარ-ში	5 მ „კუთხის" გარეშე	4,5 მ „კუთხის" გარეშე	—	—	—
ან ღერძზე მიზიდვა	10 ჯერ	9 ჯერ	7 ჯერ	—	—	—
5. რბენა 100 მეტრზე	13,4 წმ	14 წმ	14,6 წმ	15 წმ	15,6 წმ	16 წმ
ან 200 მეტრზე	28 წმ	29 წმ	30 წმ	—	—	—
6. რბენა 800 მეტრზე	—	—	—	2 წთ 45 წმ	3 წთ	3 წთ 20 წმ
ან კროსი 800 მეტრზე . . .	—	—	—	2 წთ 55 წმ	3 წთ 10 წმ	3 წთ 30 წმ
7. რბენა 1.500 მეტრზე	5 წთ 10 წმ	5 წთ 35 წმ	5 წთ 50 წმ	—	—	—
ან კროსი 5 კმ	21 წთ	23 წთ	26 წთ	—	—	—
8. გამორბენით სიგრძეზე ხტომა	5 მ	4 მ 50 სმ	4 მ	3 მ 80 სმ	3 მ 50 სმ	3 მ 30 სმ
ან გამორბენით სიმაღლეზე ხტომა	140 სმ	130 სმ	125 სმ	115 სმ	110 სმ	105 სმ
9. ყუმბარის ტყორცნა (700 გრ)	45 მ	40 მ	38 მ	25 მ	24 მ	22 მ
ან ბადროს ტყორცნა . . .	27 მ	25 მ	24 მ	20 მ	19 მ	17 მ
ან შუბის ტყორცნა	33 მ	32 მ	30 მ	24 მ	22 მ	20 მ
ან ბირთვის კვრა	9 მ	8 მ	8 მ	7 მ 50 სმ	7 მ	6 მ 50 სმ
10. ცურვა 100 მეტრზე.	1 წთ 50 წმ	2 წთ	2 წთ 10 წმ	2 წთ 15 წმ	2 წთ 25 წმ	2 წთ 35 წმ
ან	(ნებისმიერი სტილით)					
ვაჟები 400 მეტრზე	დროის ჩაუთვლელად (ნებისმიერი სტილით)					
ქალები 300 მეტრზე	დროის ჩაუთვლელად (ნებისმიერი სტილით)					
11. თხილამურები: ვაჟები 15 კმ .	1 ს 30 წთ	1 ს 35 წთ	1 ს 45 წთ	—	—	—
ქალები 5 კმ. .	—	—	—	33 წთ	35 წთ	38 წთ
ან 10 კმ. .	—	—	—	1 ს 17 წთ	1 ს 23 წთ	1 ს 30 წთ
უთოვლო რაიონებისათვის ერთ-ერთი ნორმათაგანი						
ა) სწრაფგადასვლა 10 კმ . .	1 ს 05 წთ	1 ს 10 წთ	1 ს 15 წთ	—	—	—
ბ) ორი ერთდღიანი ქვეითი ლაშქრობა	—	—	—	15 და 20 კმ	15 და 20 კმ	15 და 20 კმ
გ) ველოკროსი:						
ვაჟები —25 კმ	1 ს 04 წთ	1 ს 06 წთ	1 ს 10 წთ	—	—	—
ქალები—15 კმ	—	—	—	43 წთ	45 წთ	47 წთ
12. სასროლო სპორტი – ვაჟები	შესრულებულ იქნას სპორტული კლასიფიკაციის ერთ-ერთი ვარჯიში ნებისმიერი სახეობის იარაღიდან სპეციალური პირობებით.					

საქართველოს პროფსაბჭოს პირველობა ველოსპორტში

თბილისის ტრეკზე ოთხ დღეს გრძელდებოდა საქართველოს პროფსაბჭოს პირად-გუნდური პირველობა ველოსპორტში.

პირველ დღეს ჩატარდა სპრინტერული რბოლა ვაჟთა და ქალთათვის. როგორც მოსალოდნელი იყო, ვაჟების ფინალში გავიდნენ სპორტის ოსტატები ჯიმშელეიშვილი და ჯონჯოლიანი („ნაუკა"), პირველთანრიგოსნები ქინქლაძე („ნაუკა") და ნოვიკოვი („მედიკი"). დაძაბული ბრძოლის შემდეგ ფინიშის ხაზი პირველად ჯონჯოლიანმა გადაკვეთა. მას ნახევარი ბორბლით ჩამორჩა ჯიმშელეიშვილი, მესამე იყო ნოვიკოვი.

რამდენადაც საინტერესო იყო ვაჟთა ფინალი, იმდენად უფერული გამოდგა ქალთა ფინალური რბოლა. აქ გაიმარჯვა ხეჩოიანმა („ლოკომოტივი"). შემდგომი ადგილები დაიკავეს „ნაუკის" წარმომადგენლებმა თოფურიძემ და ჰიჰინაძემ.

გიტში 200 მეტრზე სვლით ქალთა შორის გაიმარჯვა ხეჩოიანმა, მეორე ადგილზეა ბეერი („ნაუკა"), მესამეზე — თოფურიძე. აღსანიშნავია, რომ ქალებმა ამ დისტანციაზე არადამაკმაყოფილებელი დრო აჩვენეს.

გიტში 1.000 მეტრზე ადგილიდან გაიმარჯვა ჯიმშელეიშვილმა (დრო — 1:17,6). გამარჯვებულს 0,1 წამით ჩამორჩა ჯონჯოლიანი.

ვაჟთა გუნდურ რბოლაში 4 კილომეტრზე გაიმარჯვეს „ნაუკის" გუნდის წარმომადგენლებმა (ჯონჯოლიანი, ჯიმშელეიშვილი, პატარაია და ქინქლაძე). მეორე ადგილზეა „ბურევესტნიკი", მესამეზე—„შახტიორი".

ქალთა გუნდურ რბოლაში 3 კილომეტრზე გაიმარჯვა „შახტიორის" კოლექტივმა (გონგაძე, ოგანეზოვა, იატჩენკო), მეორე ადგილზეა „ნაუკა", მესამეზე — „ბურევესტნიკი".

გუნდურ რბოლაში გამოთიშვით პირველი ადგილი დაიკავა „ნაუკის" გუნდმა (ჯონჯოლიანი, ჰიჰინაძე, გოგოლიშვილი, ქინქლაძე). მათ თითქმის ერთი წრით გაუსწრეს მოწინააღმდეგეებს. მომდევნო ადგილებზეა „ბურევესტნიკი" და „შახტიორი".

ქალებისათვის გამოთიშვით რბოლაში პირველ ადგილზე გამოვიდა ხეჩოიანი, მეორეზეა თოფურიძე.

უკანასკნელ დღეს გაიმართა სალიდერო რბოლა. აქ გაიმარჯვა ნოვიკოვმა (ლიდერი სპორტის ოსტატი ო. დადუნაშვილი). მათ 25 კმ 28:09 წუთში დაფარეს. მეორე ადგილი დაიკავა ქინქლაძემ (ლიდერი კავსაძე).

საერთო გუნდური პირველობა მოიპოვეს „ნაუკის" ველოსიპედისტებმა. ბრძოლა მეორე ადგილისათვის მიმდინარეობდა „ბურევესტნიკსა" და „შახტიორს" შორის. „ბურევესტნიკის" კოლექტივს მოწინააღმდეგეზე ერთი ქულით მეტი აღმოაჩნდა.

მთლიანად დაკომპლექტებული გუნდები ვერ გამოიყვანეს „ისკრამ", „მედიკმა", „ლოკომოტივმა", „ტრუდმა", თუმცა ამის შესაძლებლობა მათ აქვთ.

შეჯიბრების პროცესში დამყარებულ იქნა რესპუბლიკური და სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოების ახალი რეკორდები.

სპარტაკელმა გ. ჯოხაძემ გიტში ადგილიდან 1 კილომეტრზე აჩვენა 1:14,7. ეს 0,5 წამით უკეთესია ო. დადუნაშვილის ძველ რესპუბლიკურ რეკორდზე. ჯოხაძემ ამ დისტანციაზე სვლითაც გააუმჯობესა საქართველოსა და „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს რეკორდები. მისი დროა 1:11,0.

სპარტაკელმა ივანოვამ საქართველოს რეკორდი დაამყარა 500 მეტრზე სვლით. მისი შედეგია 38,0 წამი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა გოგონებში დიასამიძემ დაამყარა საქართველოს ახალი რეკორდები გოგონებისათვის 1.000 მეტრზე სვლით — 1:25,3 და 500 მეტრზე სვლით 38,8.

ლოკომოტიველმა ხეჩოიანმა 1 კილომეტრი სვლით დაფარა — 1:22,1, რაც ახალი რესპუბლიკური რეკორდია.

„ნაუკის" საკავშირო რეკორდი დაამყარა სპორტის ოსტატმა ჯიმშელეიშვილმა. მან 500 მეტრი სვლით 33,7 წამში დაფარა.

ა. გუნია,
სპორტის ოსტატი.

შეხვედრა „დინამოს" კალათბურთელებთან

13 ნოემბერს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყო შეხვედრა თბილისის „დინამოს" კალათბურთელებთან.

შეხვედრა გახსნა უნივერსიტეტის პარტბიუროს მდივანმა ს. ჯორბენაძემ.

სიტყვებით გამოვიდნენ პროფესორები: ი. კახაძე, ვ. ბერაძე და დოცენტი გ. ზარდალიშვილი. სტუმრებისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა სტუდენტმა ესაძემ.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა: ო. ქორქიამ და ნ. ჯორჯიკიამ დამსწრეებს გაუზიარეს ეგვიპტეში მიღებული შთაბეჭდილებანი.

ვ. ახმეტელი

საქართველოს ჩემპიონატი

გასულ კვირას შედგა მორიგი კალენდარული მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში. გორში ამ დღეს თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამო" და თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის გუნდი. პირველ ტაიმში უპირატესობა თბილისელებს ჰქონდათ, რომელთაც ერთი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში. შესვენების შემდეგ დინამოელებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს თამაში და მოიგეს მატჩი ანგარიშით 2:1.

ხაშურის „ლოკომოტივი" ბათუმში შეხვდა „დინამოს". ორივე ტაიმის განმავლობაში ინიციატივა ბათუმელთა მხარეს იყო, რომელთაც გაიმარჯვეს ანგარიშით 4:1.

მატჩი ფოთში ადგილობრივ ნაკრებ გუნდსა და ბორჯომის „სპარტაკს" შორის დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 2:0.

თბილისში ამ დღეს თამაშობდნენ ტ. ტ. ს-ი და ზუგდიდის „კრასნაია ზვეზდა". დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ტრამვაელთა სასარგებლოდ — 2:1.

როგორ ვხვდებით ზამთრის სპორტულ სეზონს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაკურიანის ბაზებზე

შარშან ამ დროს ჩვენი რესპუბლიკის სამთო-სათხილამურო ბაზის — ბაკურიანის მიდამოები თოვლს დაეფარა, ტყესა და მინდვრებს აღვიძებდა ფიზკულტურელთა ყიჟინა, ჭათქათა თოვლი თხილამურების ნაკვალევით იყო დასერილი, მაგრამ ასე როდია წელს. უჩვეულოდ თბილი შემოდგომა დიდხანს გაგრძელდა. ახალგაზრდები ძირითადად ჯერ კიდევ სპორტის საზაფხულო სახეობებში ვარჯიშობენ, თუმცა ზამთრისათვისაც ზრუნავენ — წესრიგში მოჰყავთ თხილამურები, სპორტული ტანსაცმელი.

სპორტულ სეზონს გულხელდაკრეფილი არც სპორტულ ბაზებში ელოდებიან. წელს განზრახულია სათხილამურო სპორტის ყველა რესპუბლიკური და საკავშირო შეჯიბრების, მეგობრული მატჩების, სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკური და ცენტრალური საბჭოების პირველობათა ბაკურიანში გამართვა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის სამთო-სათხილამურო ბაზა (დირექტორი ა. ნხეიძე) ყველაზე დიდი ბაზაა ბაკურიანში. მის განკარგულებაშია სამი კორპუსი, საბაგირო გზა, ორი დიდი ტრამპლინი და სხვ.

აქ დროულად დაიწყეს ზამთრის სეზონისათვის ზრუნვა: შეკეთდა საცხოვრებელი ბინები, სასადილო, სამზარეულო. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საშხაპეების მშენებლობა-კეთილმოწყობა. შეიძინეს 50 ახალი საწოლი, მოიმარაგეს შეშა. წელს ბაზას შეემატება 4 ახალი საცხოვრებელი კორპუსი.

მნიშვნელოვანი მუშაობა შესრულდა ტრამპლინების შეკეთებისათვის. ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის კომისიის მითითების შემდეგ გაიწმინდა ტრასა, წესრიგშია მოყვანილი ტრამპლინის პროფილი, დაქანების ბილიკი, დაშვებისა და ასხლეტის გორაკი, დამთავრდა კონტრფერდობის გასუფთავება, საფუძვლიანად შეკეთდა 70-მეტრიანი ტრამპლინის რკინის კონსტრუქცია.

არის ნაკლოვანებანიც. დღემდე ვერ მოიმარაგეს სასადილოსათვის საჭირო სკამების საკმაო რაოდენობა, განიცდიან თხილამურების, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ნაკლებობას, ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი საბაგირო გზის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი, რაც იმის საფრთხეს ჰქმნის, რომ იგი წელსაც ვერ იმუშავებს სრული დატვირთვით. განზრახული იყო საბაგირო გზა საექსპლოატაციოდ „ნაუკის" რესპუბლიკური საბჭოს განკარგულებაში გადაეცათ. აღსანიშნავია, რომ „ნაუკამ" უკვე შეიძინა მძლავრი დიზელ-ელექტროსადგური, რომელიც შეუფერხებლად მიაწვდიდა ენერგიას საბაგირო გზას, მაშასადამე, ეს საკითხი — გზის „ნაუკისათვის" გადაცემა, რეალურია და მალეც უნდა მოგვარდეს.

გასული ზამთრის სეზონისათვის კარგად მოემზადა „დინამოს" სამთო-სათხილამურო ბაზა. წელს კი ჯერჯერობით ასე არაა. მას შემდეგ, რაც აქედან თბილისის 35-ე საშუალო სკოლის ნორჩი ფეხბურთელები წავიდნენ, საკმაო დრომ განვლო. ბაზაში კი თითქმის არაფერი გაკეთებულა. ოთახების უმრავლესობა შესაკეთებელია. მზრუნველი ხელი აკლიათ საშხაპეებსა და სამზარეულოსაც. დღემდე ვერ მოაწყეს რადიოკვანძი, თუმცა იგი ჯერ კიდევ გასული წლისათვის უნდა ყოფილიყო მზად.

ზაფხულის განმავლობაში არ შეუწყვეტია მუშაობა „ნაუკის" ბაკურიანის ტურისტულ ბაზას. მის ხელმძღვანელებს არც ზამთრისათვის ზრუნვა დაუვიწყებიათ.

აქ დამთავრებულია სარემონტო სამუშაოთა დიდი ნაწილი. ძველი, მცირე ძალიანის ნაცვლად დაიდგა 45 კილოვატიანი დიზელელექტროსადგური, ბაზის ირგვლივ მოეწყო პროჟექტორები, რაც სპორტსმენებს ღამე ვარჯიშის საშუალებას მისცემს. დამთავრდა წყლის გამოყვანა კოხტა გორას აღმოსავლეთ ფერდობიდან. ბაზას საკმაო რაოდენობით აქვს თხილამურები. დამატებით იქნება შემოზიდული სპორტტანსაცმელი. გამოეყო ოთახი კლუბისათვის. აქ სპორტსმენებს შეეძლებათ ითამაშონ ჭადრაკი, ბილიარდი და მაგიდის ჩოგბურთი. სამწუხაროდ, ბაზის ხელმძღვანელობამ და „ნაუკის" რესპუბლიკურმა საბჭომ, რატომღაც დღემდე ვერ გადაწყვიტეს ბაზასთან მისასვლელი გზის საკითხი. წვიმიან ამინდში იგი გაუვალი ხდება, ჩასამწყობელია წყალგაყვანილობის მილებიც. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ყინვებმა ისინი მწყობრიდან გამოიყვანოს.

— წლევანდელი ზამთრის სეზონისათვის უკვე მზადა ვართ. დღესვე შეგვიძლია მივიღოთ ტურისტთა პირველი ნაკადი, — გვითხრა რესპუბლიკური სამმართველოს ბაკურიანის ტურისტთა ბაზის დირექტორმა კ. მიქაბერიძემ.

მართლაც, აქ უკვე მოიმარაგეს 40 საძილე ტომარა, 120-ზურგჩანთა, სალაშქრო ტანსაცმელი 80 კაცისათვის. ბაზაში დღეისათვის ყველა სახის 100-მდე თხილამური აქვთ. ამ დღეებში მიიღებენ რამდენიმე ათეულ ტურისტულ და სათხილამურო ფეხსაცმელს. დაიწყო კედლის ღუმელების მოწყობა. 25 ნოემბერს ბაზას პირველ ნაკადად ესტუმრება სპორტსაზოგადოება „ისკრის" ცენტრალური საბჭოს მოთხილამურეთა ნაკრები გუნდი.

ბაკურიანის სპორტული ბაზების ხელმძღვანელებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ დარჩენილ სამუშაოთა დროულად დამთავრებისათვის და სრული მზადყოფნის მდგომარეობაში შეხვდნენ ზამთრის სპორტულ სეზონს, პირველ თოვლს, სპორტსმენთა პირველ ნაკადს.

ო. გელაშვილი,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

თავს არ იწუხებენ

რას მოიფიქრებდა დიდი ლილოს 8 წლიანი სკოლის დირექტორი გ. ხომახიძე თუ მისი მოქმედება მოსწავლეთა გულისწყრომას გამოიწვევდა.

გასული წლის ზამთარში სკოლას შეშა შემოაკლდა, სიცივით კანკალებდნენ მოსწავლეები და მასწავლებლები. დირექტორმა მალე ნახა მდგომარეობიდან გამოსავალი. ბრძანა: სკოლის სპორტულ მოედანზე არსებული ტანვარჯიშული ბაქნის ძელები ძირიანად ამოეღოთ, შეშა გაეჩინათ. ბრძანება სასწრაფოდ შესრულდა.

სპორტული ზაფხული მოედნების უქონლობის გამო მოსწავლეებმა უფერულად ჩაატარეს. აქ კიდევ უფრო ცუდად ხვდებიან ზამთრის სპორტულ სეზონს. სკოლის ბნელი სარდაფი, რომელიც სპორტდარბაზის მოვალეობას ასრულებს, ნოუვლელია, შიგ მტვრით დაფარული ერთადერთი ტაიჭი დგას. სხვა ინვენტარით სკოლის მომარაგებაზე თავს არავინ იწუხებს.

ვ. ყუშიტაშვილი

◆

მოჭადრაკეთა შეჯიბრება

ამას წინათ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში მოეწყო პირველობა ჭადრაკში, რომელშიც მონაწილეობდა 12 კაცი. შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია ჭადრაკის მოყვარულთა შორის. საინტერესო თამაშების შემდეგ პირველ ადგილზე გამოვიდა მ. კინწურაშვილი, მეორეზე — გ. კუჭავა, მესამეზე — ლ. ბერძენიშვილი. გამარჯვებულებს გადაეცათ ჯილდოები.

ბ. გიორგობიანი

აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები

ლვოვში თოთხმეტი მოკავშირე რესპუბლიკის 1.200-ზე მეტი მოწინავე ფიზკულტურელი ეჯიბრებოდა ერთმანეთს სოფლის ფიზკულტურელთა პირველი საკავშირო სპარტაკიადაში. მონაწილენი ერთმანეთს უზიარებდნენ შრომასა და სპორტში მიღებულ გამოცდილებას. სპარტაკიადაში გამარჯვებული გამოვიდა რსფსრ-ს გუნდი, რომელსაც გადაეცა ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის გარდამავალი ჯილდო და საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის სპეციალური პრიზი. მეორე ადგილი დაიკავეს უკრაინის, ხოლო მესამე — ესტონეთის წარმომადგენლებმა.

სოფლის ფიზკულტურელთა პირველმა სპარტაკიადამ, რომელიც სპორტის ექვს სახეობაში ჩატარდა (მძლეოსნობა, ფეხბურთი, ველოსპორტი, ცურვა, ფრენბურთი და მშთ მრავალჭიდი), გამოავლინა სოციალისტური სოფლის ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობაში არსებული მიღწევები და ნაკლოვანებები. საშუალება მოგვცა უფრო კრიტიკულად მივუდგეთ სოფლად მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაში არსებულ მდგომარეობას, მივიღოთ გადამჭრელი ზომები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს ფიზკულტურულმა კოლექტივმა სპარტაკიადაში მეცხრე ადგილი დაიკავა. მისი პროგრამიდან მხოლოდ ფეხბურთში მოიპოვა პირველი ადგილი. სპარტაკიადის სხვა სახეობებში საქართველოს სპორტსმენთა შედეგები ასეთია: მძლეოსნობაში მე-12 ადგილი, ველოსპორტში მე-13, ცურვაში მე-9, ფრენბურთი: ქალები მე-9, ვაჟები მე-6 და მშთ მრავალჭიდში მე-11 ადგილი. როგორც ვხედავთ შედეგები არადამაკმაყოფილებელია.

გუნდების დაკომპლექტებისა და მათი ტექნიკური მზადყოფნისათვის სუსტად იზრუნეს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა და „კოლმეურნის“ რესპუბლიკურმა საბჭომ. ფაქტად ისიც კმარა, რომ სპორტული ფორმის უქონლობის გამო რესპუბლიკის ნაკრებმა გუნდმა სპარტაკიადის გახსნის პარადში მონაწილეობა ვერ მიიღო. ზოგიერთ სახეობაში (მძლეოსნობა, ცურვა, მშთ მრავალჭიდი) დაბალ დონეზე ჩატარდა მოსამზადებელი სასწავლო-საწვრთნელო შეჯიბრებები. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ვერ უზრუნველყო სპარტაკიადაზე ფრენბურთის, მძლეოსნობისა და ცურვის გუნდებთან ერთად მწვრთნელების გაგზავნა, რამაც ერთგვარი გავლენა იქონია მონაწილეთა ტექნიკურ შედეგებზე.

რესპუბლიკის სოფლებში სპორტის ამა თუ იმ სახეობის დანერგვასა და განვითარებაში ყველაფერი რიგზე არა გვაქვს. დაბალ დონეზე დგას სპორტის ცალკეულ სახეობაში სასწავლო-სპორტული მუშაობა: განსაკუთრებით ცუდადაა დაყენებული მუშაობა ქალთა შორის. „კოლმეურნის“ რაისაბჭოების მოუქნელი მუშაობის გამო ბევრი საკოლმეურნეო ფიზკულტურული კოლექტივი უმოქმედობს, მოკლებული არიან ზემდგომი ფიზკულტურული და კომკავშირული ორგანიზაციების სათანადო დახმარებასა და ხელმძღვანელობას.

ჩვენს რესპუბლიკაში 5 წლის წინათ ჩამოყალიბდა „კოლმეურნის“ რაიონული, საოლქო და რესპუბლიკური საბჭოები. რესპუბლიკაში ამჟამად „კოლმეურნის“ 2.000-მდე ძირეული ფიზკულტურული კოლექტივია, მაგრამ სოფლის ახალგაზრდობას შორის მასობრივი ფიზკულტურული მუშაობა ჯერ კიდევ სათანადო დონეზე არ დგას. რესპუბლიკაში არის მთელი რიგი რაიონებისა, სადაც წლობით არ სრულდება მშთ ნიშნოსანთა და სპორტსმენ თანრიგოსანთა მომზადების გეგმა, არ ტარდება სოფლის ფიზკულტურელთა ღონისძიებანი.

ბევრ კოლმეურნეობას არ გააჩნია მარტივი სახის სპორტული მოედანი, ფორმა და ინვენტარი. ამის შესახებ მრავალჯერ თქმულა და დაწერილა, უმსჯელიათ ფიზკულტურულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, შედეგი კი... რესპუბლიკის ბევრ სოფელსა და რაიონში მცირდება მოქმედი სპორტული სექციების, გუნდების, წრეების რაოდენობა, ნორმალური მუშაობის წარმართვისათვის გამოყენებული არ არის სოფლის ინტელიგენცია — ექიმები, აგრონომები, მასწავლებლები, რომელთა რიგებში ბევრია სპორტის მოყვარული.

სპორტული სექციებისა და გუნდების უმოქმედობა, მასობრივი სპორტული ღონისძიებების ნაკლები რაოდენობით ჩატარება, სუსტი კავშირი ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებთან — ესაა ჩვენი ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი.

სპარტაკიადის შედეგებიდან, კიდევ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება. რესპუბლიკაში სუსტად არის დაყენებული სოფლის ფიზკულტურული კოლექტივებისადმი შეფობის საკითხი, კოლმეურნე სპორტსმენების იშვიათი სტუმრები არიან რესპუბლიკის მოწინავე სპორტსმენები.

დ. კინწურაშვილი,

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე.

მ. დიასამიძე

კ. შენგელია

თბილისის ველოტრეკზე ორ დღეს გრძელდებოდა ქალაქის მოზარდ ველოსიპედისტთა პირად-გუნდური პირველობა.

გიტი 200 მეტრზე გოგონათა შორის ახალი რესპუბლიკური რეკორდით — 14,1 მოიგო სპარტაკელმა მ. დიასამიძემ. ჭაბუკთა შორის უძლიერესები აღმოჩნდნენ კ. შენგელია („დინამო“). ო. კვილიტაია („სპარტაკი“). მათ დისტანცია დაამთავრეს ერთნაირი შედეგით 13,1.

გოგონათა სპრინტში კარგი მომზადება გამოამჟღავნა მ. დიასამიძემ, მას მიენიჭა გამარჯვება. ჭაბუკთა შორის ველოსპორტის ამ სახეობაში გაიმარჯვა კ. შენგელიამ.

გუნდური ბრძოლა 4 კილომეტრზე მოიგეს „სპარტაკის“ ველოსიპედისტებმა — 5:26,5. გოგონათა გუნდურ რბოლაში 3 კილომეტრზე პირველი ადგილი დაიკავეს დინამოელებმა — 4:56,3.

შეჯიბრების პროცესში ახალ წარმატებას მიაღწია 17 წლის მ. დიასამიძემ. 200 მეტრზე გიტში (სვლით) გააუმჯობესა რესპუბლიკური რეკორდი — მისი შედეგია 13,6.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ნორჩმა დინამოელებმა.

ვ. ჯონჯოლიანი,

სპორტის ოსტატი.

საკავშირო ნახევარფინალი

ერევანი. (ჩვენი სპეც. კორესპონდენტი). მეათე ტურში გურგენიძე თეთრებით თამაშობდა ბასტრიკოვის წინააღმდეგ. დასაწყისში მან ბრძოლა კარგად მიჰყავდა, მაგრამ თეთრუჯრედოვანი კუს გაცვლით ბასტრიკოვს უპირატესობის მიღების საშუალება მისცა. შემდგომ გურგენიძემ პაიკის შეწირვით ხელთ იგდო ინიციატივა. შავების პოზიციაში მხედრის შეჭრით მან აიძულა ბასტრიკოვი ეტლი მიეცა. პარტია გადაიდო გურგენიძისათვის მოსაგებ მდგომარეობაში. შიშოვი ვისტანეცკისთან პარტიაში მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. შემდეგ ვისტანეცკის მცდარი თამაშით მან კარგად ისარგებლა და გაათანაბრა პოზიცია. პარტია გადადებულია.

მეთერთმეტე ტურში გურგენიძე მოჰყვა ტარასოვის ძლიერი იერიშის ქვეშ. მაგრამ ცაიტნოტში ტარასოვი არასწორად თამაშობდა და ფიგურა წააგო, რომლის შემდეგ იგი დანებდა. შიშოვმა ანტოშინის წინააღმდეგ დებიუტი ორიგინალურად გაითამაშა. შუა თამაშში, როცა ლაზიერები გაიცვალა, შიშოვმა ვერ დაინახა მოწინააღმდეგის მარტივი ტაქტიკური დარტყმა და ფიგურა წააგო. პარტია გადაიდო.

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს გურგენიძემ სწორი გეგმის არჩევით ბასტრიკოვთან პარტია მოგებამდე მიიყვანა. შიშოვს ორი პარტია ჰქონდა დასამთავრებელი. ანტოშინთან მან ბრძოლა არ გააგრძელა და დანებდა, ხოლო ვისტანეცკისთან საინტერესო თამაშის შემდეგ ყაიმზე შეთანხმდა. მოკაციანმა ყაიმს მიაღწია კორჩნოისთან, ფლორთან და მოისეევთან. ორი პარტია წააგო კასპარიანმა კოტოვთან და მოისეევთან. პინენოვმა დაამარცხა ოსტატი ბანიკი. აზერბაიჯანის ჩემპიონმა ხალილბეილიმ მოუგო ოსტატ სუეტინს.

სატურნირო ცხრილში 11 ტურის შემდეგ წინ არიან: მოისეევი და ილივიცკი — 7,5 ქულა თითოეულს.

შეხვედრა შვეიცარიაში

კვირას, 14 ნოემბერს ლოზანაში (შვეიცარია) მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელები შეხვდნენ შვეიცარიის უძლიერესი კლუბის „ლოზანა-სპორტისა“ და [illegible] ნაკრებს.

პირველი ტაიმის 31-ე წუთზე შვეიცარელებმა გახსნეს ანგარიში, მაგრამ მალე ზაიკოვმა გაათანაბრა იგი. შემდგომში ანგარიშში ცვლილება აღარ მომხდარა — 1:1.

ყოველი მხრიდან

ჰელსინკი. შუბის მტყორცნელმა ნიკანენმა დაამყარა ფინეთის ახალი რეკორდი. მისი შედეგია 79 მ 60 სმ. ნიკანენის მიღწევა მსოფლიოში მესამეა ჰელდტის (აშშ) — 80 მ 41 სმ და სიდლოს (პოლონეთი) — 80 მ 15 სმ შემდეგ.

• • •

ზაგრები. ფინელმა კონტიომ 1.000 მეტრი გაირბინა 2:22,5.

• • •

ლახტი. ფინეთის უძლიერესმა სპრინტერმა ჰელისტელმა მოიგო რბენა 200 მეტრზე — 21,5.

ფეხბურთის მოედნებზე

ანტვერპენი. აქ გაიმართა ბელგიისა და ჰოლანდიის ეროვნული გუნდების შეხვედრა, გაიმარჯვეს ბელგიელებმა — 4:3.

• • •

თელ-ავივი. ინგლისის „არსენალისა“ და იზრაელის „მაკაბის“ მატჩი დამთავრდა 4:2 ინგლისელთა სასარგებლოდ.

• • •

სარაევო. იუგოსლავიის ნაკრებმა დაამარცხა თურქეთის ნაკრები ანგარიშით 5:1. აღსანიშნავია, რომ იუგოსლავიის ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბობეკმა ამ შეხვედრაში გაიტანა ხუთივე ბურთი.

• • •

ვენა. ავსტრიის ჩემპიონატის ლიდერი „ვიენა“ შეხვდა ინგლისის ჩემპიონს „ვულვერჰემპტონს“. 90 წუთიან ბრძოლას შედეგი არ მოუცია.

ნარკვევები ქართველ სპორტსმენებზე

სპორტი რომ საინტერესო და კეთილშობილური თემაა მწერლისათვის, მტკიცებას არ საჭიროებს. წარმტაც, დაძაბულ სპორტულ ბრძოლაში, სხვადასხვა ასპარეზობაში ვლინდება საბჭოთა ადამიანის მაღალი მორალური თვისებები: გამარჯვებისადმი ურყევი ნებისყოფა, შეუპოვრობა სიძნელეების გადალახვაში, სიმამაცე, ამხანაგობისა და მეგობრობის გრძნობა და, რაც მთავარია, — სამშობლოსადმი სიყვარული, მისწრაფება სპორტული მიღწევით ასახელოს თავისი ქვეყანა, მთელს მსოფლიოს აჩვენოს, თუ როგორ მძლავრად იფურჩქნება სოციალისტური კულტურა, რომლის განუყოფელი ნაწილია ფიზიკური კულტურა.

უდავოა აგრეთვე სპორტულ თემატიკაზე აგებული მხატვრული ლიტერატურის აღმზრდელობითი მნიშვნელობა, მისი დიდი როლი ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის საქმეში. წიგნებს საბჭოთა სპორტისა და მისი საუკეთესო ადამიანების შესახებ მოუთმენლად ელოდება მსოფლიოში ყველაზე კულტურული და მოწინავე მკითხველი — საბჭოთა ახალგაზრდობა.

მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ჩვენი მწერლები და პოეტები, რომლებიც წერენ ახალგაზრდობაზე და ახალგაზრდობისათვის (მათ რიცხვში ახალგაზრდა ლიტერატორებიც კი), მეტად იშვიათად ჰკიდებენ ხელს სპორტულ თემატიკას.

საბჭოთა მწერლებიდან ამ თემატიკაზე შემთხვევიდან შემთხვევამდე მუშაობენ ლ. კასილი, ი. რახტანოვი, მ. რომი, პ. კაპიცა, ი. ბრაგინი, ი. გრინვალდი, ლ. შნეიდერი, ი. ბარუ, ვ. ვიქტოროვი და კიდევ რამდენიმე ჟურნალისტი.

ერთი შეხედვით, თითქოს არც თუ ისე მცირე რიცხვია. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ საბჭოთა ფიზიკური კულტურის ფართო გავრცელებას, მის მიღწევებს, მის მნიშვნელობას მშრომელთა გაჯანსაღების საქმეში, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენს თვალუწვდენ ქვეყანაში ლიტერატორთა რაოდენობას, მაშინ გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ სპორტულ თემატიკაზე მომუშავე მწერლების ზემოაღნიშნული რიცხვი ერთობ მცირეა.

ჩვენს რესპუბლიკაში კი საერთოდ სპორტზე წერას არ კადრულობენ (!) არც ხანდაზმული და არც ახალგაზრდა მწერლები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ასპარეზობათა ხშირი სტუმრებია, სპორტის მოყვარულებადაც მოაქვთ თავი.

როგორც ჩანს, მათ სპორტი და სპორტული ასპარეზობა მხოლოდ გართობად მიაჩნიათ და მასზე წერას რატომღაც თავს არიდებენ.

ასეთ პირობებში ახალგაზრდა ავტორის ედიშერ ყიფიანის წიგნი „ბურთი და მოედანი“ (ნარკვევები ქართველ სპორტსმენებზე), რომელიც ამას წინათ საბლიტგამმა გამოსცა, თავისებური და დადებითი მოვლენაა ქართული ლიტერატურის, თუ შეიძლება ასე ითქვას, სპორტულ განხრაში. წიგნს სიამოვნებით წაიკითხავს ნორჩიც, ახალგაზრდაც და ხანდაზმულიც — ყველა, ვისაც უყვარს სპორტი და მისი ადამიანები.

ნარკვევებში მოთხრობილია მოწინავე ქართველ სპორტსმენებზე, რომლებმაც ასახელეს არა მარტო მშობლიური კუთხე — საქართველო, არამედ მთელი ჩვენი ქვეყანა — სსრ კავშირი. ესენია ქართული ტანვარჯიშული სპორტის სიამაყე გიორგი ევნატაშვილი, რომელიც თურმე ახალგაზრდობისას ვერის დაღმართზე რკინის მოაჯირზე უშიშრად ყირას სჭიმავდა, მთელ საბჭოთა კავშირში სახელგანთქმული „დისციპლინიანი და „სუფთა“ მოთამაშე“ ფეხბურთელი ბორის პაიჭაძე, მარად უჭკნობი სპორტსმენი — მძლეოსანი ელენე გოკიელი, „წრეში გრიგალივით მბრუნავი“ ნინო დუმბაძე, რომლის „მკლავს მეტეორივით სწყდება ბადრო“, ბავშვობისას „ჭინჭის“ ბურთის ოსტატი, ახლა კი ტყავის ბურთის უბადლო ოსტატი — კალათბურთელი ოთარ ქორქია, სახელგანთქმული მოჭიდავე მამის სახელგანთქმული შვილი დავით ციმაკურიძე, „სპორტისათვის დაბადებული“ ნადეჟდა დვალიშვილი (ხნიკინა). წიგნის ბოლო თავი „სკოლა და წიგნი — ბურთი და მოედანი“ მიძღვნილია 35-ე საშუალო სკოლისადმი.

ჩვენის აზრით, არა მასალის ნაკლებობა, არამედ ნარკვევების მცირე მოცულობა ავტორს საშუალებას არ აძლევს მკითხველს ფართოდ აჩვენოს ჩვენი სპორტსმენები პირად ცხოვრებაში, ადამიანებთან ურთიერთობაში, ასპარეზობისათვის მზადების პერიოდში, შეჯიბრებათა ვითარებაში, მიღწევების მოპოვების მომენტში და ამდენად არაა მოცემული მათი გამოცდილება, რაც მუშაობაში გამოადგებოდა ახალგაზრდა სპორტსმენებს. ნარკვევებში ძირითადად მოცემულია საინტერესო ბიოგრაფიული მომენტები მათი პიროვნებისა და მიღწევების საჩვენებლად.

ამის მიუხედავად, ნარკვევებს აქვს გარკვეული შემეცნებითი მნიშვნელობა ჩვენი ახალგაზრდა სპორტსმენებისათვის და იმათთვისაც, ვისაც სურს დაეუფლოს სპორტს. წიგნში ნათლად ჩანს, რომ კარგი სპორტსმენობისა და მაღალი რეკორდების დამყარებისათვის საჭიროა იყო შენი ქვეყნის პატრიოტი, კულტურული, დისციპლინიანი, შეუპოვარი და გულმოდგინე წვრთნაში, კოლექტივიზმის გრძნობით გამსჭვალული. ნერგავს რა მკითხველში ყოველივე ამას, წიგნი ამით ასრულებს თავის დანიშნულებას — პროპაგანდა გასწიოს სპორტის სასარგებლოდ.



ნარკვევები ინტერესით იკითხება იმიტომაც, რომ ისინი დაწერილია თემის ცოდნით, მხატვრულად და თხრობის ისეთი სტილით, რომელიც კარგად გადმოსცემს სპორტის არსს.

ედიშერ ყიფიანმა ამ წიგნის შექმნით უსათუოდ კარგი საქმე გააკეთა. მაგრამ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს ამით. „ბურთი და მოედანი“ იმის დამადასტურებელია, რომ ახალგაზრდა ავტორს მომავალში შეუძლია მკითხველს მიაწოდოს დიდი მოცულობის მაღალმხატვრული ნაწარმოებები სპორტულ თემებზე, რაც ესოდენ საჭიროა ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

ლ. ხომერიკი

რედაქტორის მაგიერ
ზ. ჯაფარიძე

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ/მ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვებას — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 19104